**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**
**ხელშეკრულება N32060201/05/201**

45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები

45261910 - სახურავის შეკეთება

(SMP160003345)

ქ. თბილისი 19 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ საქართველოს ს.ს.ი.პ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში _ შემსყიდველი), სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი შალუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „... " წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის ვასილ მაქაცარიას სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის 16 დეკემბრის N3601 განკარგულების, სამშენებლო-საპროექტო სამსახურის 2016 წლის 13 დეკემბრის N1487340, 2016 წლის 14 დეკემბრის N1491072 სამსახურებრივი ბარათების და ფინანსური რესურსების მართვისა და დაგეგმვის სამსახურის ბაზრის კვლევის სპეციალისტის 2016 წლის 15 დეკემბრის N1499669 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი I. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი**

1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლის შენობის ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული სახურავის შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. შესყიდვის ობიექტის მოცულობისა და ღირებულების დეტალური აღწერა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

**მუხლი II. ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა: 61 550.00 (სამოცდაერთი ათას ხუთასორმოცდაათი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

**მუხლი III. შესყიდვის ობიექტის ხარისხი**

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესრულებული სამუშაოების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2. შესასრულებელი სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

**მუხლი IV. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი**

4.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადად განსაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 კალენდარული დღე, 2017 წლის 06 თებერვლის ჩათვლით;

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია შესაბამისი საჯარო სკოლა;

## მუხლი V. თანმდევი მომსახურება

5.1. მიმწოდებელმა სამუშაოს დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, ასევ სარეაბილიტაციო ნარჩენებისაგან.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია სახურავის გადახურვის სამუშაოების წარმოების უზრუნველყოს ნალექის შედეგად შესაძლო დაზიანებების პრევენცია. ხოლ გაუფრთხილებლობის შედეგად ზიანის დადგომის შემთხვევაში იგი ვალდებულია, სრულა აანაზღაუროს შესაბამისი ზარალი.

## მუხლი VI. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება

6.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლო სამუშაოს შესრულების აქტის (ფორმა N2, ფორმა N3) წარმოდგენისა და გაფორმების შემდეგ.

6.2. საბოლოო სამუშაოს შესრულებამდე მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდვე ეტაპობრივად წარუდგინოს სამუშაოს შესრულების აქტი (ფორმა N2, ფორმა N3), რომლ საფუძველზეც განხორციელდება ანაზღაურება.

6.3. შემსყიდველის მხრიდან სამუშაოს შესრულების აქტზე (ფორმა N2, ფორმა N3) ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს: სამშენებლო- საპროექტო სამსახურის უფროსს მერაბ ჭონიაშვილს, სამშენებლო-საპროექტო სამსახურ უფროსის მოადგილეს დავით სუთიძეს, სამშენებლო-საპროექტო სამსახურის თანამშრომლ შოთა კაკაბაძეს, იონა შერაზადიშვილს და სააგენტოს დირექტორის მიერ განსაზღვრ ტექნიკურ ზედამხედველს.

6.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და ან საბოლოო შემოწმ შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯ უზრუნველყოფს მიმწოდებელი. ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებ ვალდებულია არაუგვიანეს ხუთ კალენდარულ დღეში აღმოფხვრას ხარვეზები, რა პერიოდ იგი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების 10. პუნქტით დადგენილი პირობის შესაბამისად;

6.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად წერილობითი სახით აცნ მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების (ეტაპის) წუნდების მიზეზის მითითებით.

6.6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებ მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შემსყიდვე და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.

6.7 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღ ვადაში წარუდგინოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ინსპექტირებას ჯგუფს სამუშა წარმოების გეგმა-გრაფიკი. იმ შემთხვევაში მიმწოდებელი არ წარმოადგენს გეგმა-გრ განსაზღვრულ ვადაში დაუსაბუთებლად, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყ ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯერ შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

6.8. იმ შემთხვევაში თუ ხარჯთაღრიცხვაში საქონლის, მომსახურების ან სამ ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული იქნება სასაქ ნიშანი, მოდელი, პატენტი ან მწარმოებელი კომპანია, ასეთ შემთხვევაში აღნიშ ტერმინები გამოყენებული არის „მსგავსისა“ და „ექვივალენტურის“ მნიშვნელობ მიმწოდებელი უფლებამოსილია წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვით/ფასების ცხრ

განსაზღვრული ხარისხის მსგავსი ან ექვივალენტური მახასიათებლების მქონე საქონელი/მომსახურება.

## მუხლი VII. ანგარიშსწორება

7.1. მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა N2 და N3) გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ერთჯერადად ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 100%-ის ოდენობით, რაზეც წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. საავანსო გადახდის გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში-ლარში. უცხოური ბანკებიდან საბანკო გარანტიის წრმოდგენის შემთხვევაში მათთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის საფუძველზე საქართველოში აკრედიტირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული „კონტრ გარანტია" (ლარში). საბანკო გარანტია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

7.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე განხორციელდება ექსპერტიზა ს... ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება შემსყიდველს საექსპერტო მომსახურების ღირებულებას ანაზღაურებს შემსყიდველი, მაგრამ არაუმეტეს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილების დანართი N1-ის 13... პუნქტით დადგენილი ტარიფის ზღვრული ოდენობისა. საექსპერტო კვლევის საგანი შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა, ფასი და ხარისხი.

7.4. შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

7.5. ანაზღაურების ადგილი ქ. თბილისი.

## მუხლი VIII. ფასები

8.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ... ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთან გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტით გაზრდა.

8.2. შესაძლებელია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შემცირება, სათანადო საექსპერტო დასკვნის საფუძველზე;

## მუხლი IX. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის ... დაცვით.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

9.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

9.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

9.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

9.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

9.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

9.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

9.3.2. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტს;

9.3.3. უარი თქვას შესრულებული სამუშაოს მიღებაზე, თუ იგი არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს;

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

9.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

9.4.2. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებლი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს.

9.4.3. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

9.4.4. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები სამუშაო ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

9.4.5. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო ობიექტზე.

9.4.6. სამუშაოების დასრულების შემდეგ, შესრულებული სამუშაოს ნორმალური ექსპლოატაციის პირობებში მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომლის პირობები მოცემულია ხელშეკრულების შესაბამის დანართში. საგარანტიო პერიოდში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტები) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდა რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია შემსრულებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით. საგარანტიო პირობები ვრცელდება მხოლოდ იმ სამუშაოებზე, რომელიც შესრულებულია მიმწოდებლის მიერ, ხერლშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

9.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

9.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

### მუხლი X. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის

არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების ამ მუხლში.

10.3. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ყოველვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.2%-ის ოდენობით;

10.4. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მახარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

10.5. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;

10.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.7. შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ სამუშაოს მიწოდების საბოლოო ვადის 20 (ოცი) კალენდარული დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.8. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით;

10.9. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ მიმწოდებლის მიზეზით შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.10. თუ კი შემსყიდველი ხელშეკრულების 7.1 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ამავე მუხლით მითითებულ ვადაში, ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას, მიმწოდებელი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გეგმა-გრაფიკის გადახედვის თაობაზე.

10.11. ამ მუხლის 10.7 პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ღირებულება;

## მუხლი XI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის 08 აპრილის ჩათვლით.

## მუხლი XII. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1. სამუშაოების შესრულების ვადის ცვლილების უფლება მიმწოდებელს შეიძლება მიეცეს შემსყიდველის თანხმობით, „ფორს-მაჟორული“ სიტუაციების ან სხვა ობიექტური მიზეზების შემთხვევაში;

## მუხლი XIII. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივ მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი XIV. გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი“)

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## მუხლი XV. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

15.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

15.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.6. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.3 პუნქტში აღნიშნული პირები.

## XVI. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

16.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ გამოიყენება;

## მუხლი XVI. სხვა პირობები

17.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

17.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკით.

17.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## მუხლი XVIII. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**
სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" ს/კ 202294980
მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული,
სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი შალუტაშვილი

(ხელმოწერა)

**მიმწოდებელი:**
შ.პ.ს. „მ.გ.მ.", ფაქტიური ან/და იურიდიული მისამართი: ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზირი N28, ს/კ 220018497, ს.ს. „პროკრედიტ ბანკი", ბანკის კოდი: MIBGGE22, ა/აGE21PC0173600100015020; ტ: 558 548 948
დირექტორის მინდობილი პირი ვასილ მაქაცარია

(ხელმოწერა)

დანართი

ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების თაობაზე,

1. სახურავი - 15 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. კარ-ფანჯრები - 10 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები - 15 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. შენობის შიდა მოპირკეთება - 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5. ფასადის და სარინელის სამუშაოები - 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. სამღებრო სამუშაოები - 3 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
7. სანტექნიკა და ელექტრობა - 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
8. გათბობის სისტემა - 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
9. საქვაბე მეურნეობის აგრეგატები - 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
10. იატაკი - 15 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
11. კონსტრუქციები - 70 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
12. წყალსადენისა და კანალიზაციის გარე ქსელი - 20 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
13. ღობე - 25 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
14. დროებით შენობა-ნაგებობები - 25 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
15. სხვა დანარჩენი - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
16. ამწე მოწყობილობა - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

საგარანტიო ვადის განმავლობაში შ.პ.ს. „მ.გ.მ.“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრა, შეკეთება ან შეცვლა.

**მიმწოდებელი:**
შ.პ.ს. „მ.გ.მ.“, ფაქტიური ან/და იურიდიული მისამართი: ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზირი N28, ს/კ 220018497, ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“, ბანკის კოდი: MIBGGE22, ა/ა GE21PC0173600100015020; ტ: 558 548 948
დირექტორის მინდობილი პირი ვასილ მაქაცარია

**(ხელმოწერა)**

**ობიექტის დასახელება:** **აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლა**

**შენობის მოწყობის სამუშაოები**

საფუძველი: დეფექტური აქტი

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 61,550.00

მათ შორის ხელფასი -

| № | შიფრი,ნორმ.№რესურს.კოდი | სამუშაოთა დასახელება | განზ. | სულ | მასალა | | ხელფასი | | სამშენებლო მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| | | **1. დემონტაჟის სამუშაოები** | | | | | | | | | |
| 1 | | თუნუქის სახურავის მოხსნა /დასაწყობებით/ | კვ.მ. | 1,044.00 | | - | 2.50 | 2,610.00 | | - | 2,610.00 |
| 2 | | ხის კონსტრუქციების დემონტაჟი /ნაწილის დასაწყობებით/ | კუბ.მ. | 7.00 | | - | 40.00 | 280.00 | | - | 280.00 |
| 3 | | შენობის გასუფთავება სამშენებლო ნაგვისგან | ტონა | 8.80 | | - | 8.00 | 70.37 | | - | 70.37 |
| 4 | | ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელზე | ტონა | 8.80 | | - | 8.00 | 70.37 | | - | 70.37 |
| 5 | | სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება | ტონა | 8.80 | | - | | - | 6.00 | 52.78 | 52.78 |
| | | **ჯამი** | | | | | | | | | 3,083.51 |
| | | **ზედნადები ხარჯები** | **10.00%** | | | | | | | | 308.35 |
| | | **ჯამი** | | | | | | | | | 3,391.86 |
| | | მოგება | **8.00%** | | | | | | | | 271.35 |
| | | **ჯამი 1** | | | | | | | | | 3,663.21 |
| | | **2. სამშენებლო სამუშაოები** | | | | | | | | | |
| | | **სახურავი** | | | | | | | | | |
| 1 | | ხის ანტისეპტირებული ნივნივების მოწყობა | კუბ.მ. | 5.00 | 400.00 | 2,000.00 | 50.00 | 250.00 | | - | 2,250.00 |
| 2 | | ხის ნივნივების ცეცხლდაცვა | კუბ.მ. | 15.00 | 10.00 | 150.00 | 20.00 | 300.00 | | - | 450.00 |
| 3 | | ხის ჩამოგანული ფიცრებით მოლარტყვა, სისქით 40მმ | კვ.მ. | 1,044.00 | 8.00 | 8,352.00 | 2.50 | 2,610.00 | | - | 10,962.00 |
| 4 | | ხის მოლარტყვის ცეცხლდაცვა | კვ.მ. | 1,044.00 | 0.10 | 104.40 | 0.20 | 208.80 | | - | 313.20 |
| 5 | | ხის მოლარტყვის ანტისეპტირება | კვ.მ. | 1,044.00 | 0.10 | 104.40 | 0.20 | 208.80 | | - | 313.20 |
| 6 | | პარაპეტის დაფარვა მოთუთიებული თუნუქით, სისქით 0.55 მმ | კვ.მ. | 250.00 | 9.00 | 2,250.00 | 6.00 | 1,500.00 | | - | 3,750.00 |
| 7 | | მოთუთიებული პროფილირებული თუნუქით, სისქით 0.55 მმ, ("**პროფნასტილი**") სახურავის დახურვა | კვ.მ. | 1,044.00 | 9.00 | 9,396.00 | 4.00 | 4,176.00 | 0.30 | 313.20 | 13,885.20 |
| 8 | | სამერცხლურის მოწყობა | ცალი | 3.00 | 150.00 | 450.00 | 50.00 | 150.00 | | - | 600.00 |
| 9 | | დასაკიდი წყალშემკრები ღარის მოწყობა მოთუთიებული თუნუქით, სისქით 0,55 მმ | გრძ.მ. | 180.00 | 5.00 | 900.00 | 4.00 | 720.00 | | - | 1,620.00 |
| 10 | | წოლილა წყალშემკრები ღარის მოწყობა მოთუთიებული თუნუქით, სისქით 0,55 მმ | გრძ.მ. | 180.00 | 9.00 | 1,620.00 | 4.00 | 720.00 | | - | 2,340.00 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | | წყალსაწრეტი მილების მოწყობა მოთუთიებული თუნუქით, სისქით 0.55 მმ | გრძ.მ. | 140.00 | 4.00 | 560.00 | 4.00 | 560.00 | | - | 1,120.00 |
| 12 | | წყალმიმღები ძაბრების მოწყობა მოთუთიებული თუნუქით, სისქით 0.55 მმ | ცალი | 12.00 | 15.00 | 180.00 | 8.00 | 96.00 | | - | 276.00 |
| 13 | | წყალმიმღები მუხლების მოწყობა მოთუთიებული თუნუქით, სისქით 0.55 მმ | ცალი | 24.00 | 4.00 | 96.00 | 4.00 | 96.00 | | - | 192.00 |
| | | ჯამი | | | | | | 14,626.34 | | | 38,071.60 |
| | | **ზედნადები ხარჯები** | **10.00%** | | | | | | | | 3,807.16 |
| | | ჯამი | | | | | | | | | 41,878.76 |
| | | მოგება | **8.00%** | | | | | | | | 3,350.30 |
| | | ჯამი 2 | | | | | | | | | **45,229.06** |
| | | 1+2 თავების ჯამი | | | | | | | | | **48,892.27** |
| | | მასალების ტრანსპორტი | **3.00%** | | | 26,162.80 | | | | | 784.88 |
| | | ჯამი | | | | | | | | | 49,677.16 |
| | | გაუთვალისწინებელი ხარჯები | **5.00%** | **5.00** | | | | | | | 2,483.86 |
| | | ჯამი | | | | | | | | | 52,161.01 |
| | | დღგ | **18.00%** | **18.00** | | | | | | | 9,388.98 |
| | | ჯამი | | | | | | | | | 61,550.00 |

შპს „მგმ"–ს დირექტორის მ/შ ვასილ მაქაცარია

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080170313021616

16 / დეკემბერი / 2016 წ.

# 3601

## სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

### აღწერილობითი ნაწილი

**1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 14 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ SMP160003345 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

**2. შესყიდვის ობიექტი**

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს, აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლის შენობის და ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის შენობის სახურავების შეკეთების სამუშაოების შესყიდვას (CPV- 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები).

**3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება**

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2016 წლის 21 ნოემბერს, ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლის შენობის და ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის შენობის სახურავები. კერძოდ, სოფელ ზანათის საჯარო სკოლაში ქარმა დააზიანა სპორტული დარბაზის შენობის სახურავის აღმოსავლეთ ნაწილი - დაახლოებით 40 კვადრატული მეტრი ფართობის თუნუქის სახურავი. ამავე ფართობზე დაძრულია ბეტონის ფილა, რომელზეც სახურავის კონსტრუქციის ნაწილია დამაგრებული. ასევე, ქარის შედეგად მორყეულია მთლიანად დარბაზის სახურავის ხის კონსტრუქციები და დაზიანებებია სკოლის ძირითადი სასწავლო კორპუსის სახურავზეც. ამავდროულად, სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის შენობის კორპუსებს შორის გადასასვლელზე ქარმა საყრდენებიანად მოწყვიტა სახურავი, რის გამო შენობაში ჩაედინება ატმოსფერული ნალექები, რაც აზიანებს ორივე სართულის კედლებს და იატაკს. აღნიშნული გარემოებები საფრთხეს უქმნის, როგორც სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვას, ასევე, სკოლაში განთავსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ფასეულობებს.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, ძლიერი ქარის შედეგად გამოწვეული დაზიანებების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე სააგენტოს სამშენებლო-საპროექტო სამსახურის სპეციალისტები მივლინებულ იქნენ შესაბამის სკოლაში, რათა ადგილზე მომხდარიყო არსებული სიტუაციის შესწავლა და გადაუდებლად შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის დადგენა. ამასთან, ქ. ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა დახმარებისათვის მიმართა მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომელმაც მწირი ადგილობრივი ბიუჯეტის გამო ვერ შეძლო პრობლემის მოგვარება. აქედან გამომდინარე, იმისათვის რომ დროულად მოხდეს სახურავების აღდგენა და სკოლებში სასწავლო პროცესის გამართულ მიმდინარეობას საფრთხე არ შეექმნას, აუცილებელია აღნიშნული შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება.

**4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება**

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

## სამოტივაციო ნაწილი

**5. შემაჯამებელი დასკვნა**

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

**6. სააგენტოს შეფასება**

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება იმდენად, რამდენადაც, შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2016 წლის 21 ნოემბერს, ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლის შენობის და ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის შენობის სახურავები. კერძოდ, სოფელ ზანათის საჯარო სკოლაში ქარმა დააზიანა სპორტული დარბაზის შენობის სახურავის აღმოსავლეთ ნაწილი - დაახლოებით 40 კვადრატული მეტრი ფართობის თუნუქის სახურავი. ამავე ფართობზე დაძრულია ბეტონის ფილა, რომელზედაც სახურავის კონსტრუქციის ნაწილია დამაგრებული. ასევე, ქარის შედეგად მორყეულია მთლიანად დარბაზის სახურავის ხის კონსტრუქციები და დაზიანებებია სკოლის ძირითადი სასწავლო კორპუსის სახურავზე. ამავდროულად, სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის შენობის კორპუსებს შორის გადასასვლელზე ქარმა საყრდენებიანად მოწყვიტა სახურავი, რის გამოც შენობაში ჩაედინება ატმოსფერული ნალექები, რაც აზიანებს ორივე სართულის კედლებს და იატაკს. შესაბამისად, ვინაიდან, აღნიშნული გარემოებები საფრთეს უქმნის, როგორც სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვას, ასევე, სკოლებში განთავსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ფასეულობებს, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, მომართვაში აღწერილი შესყიდვა განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.

სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

## სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ SMP160003345 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა ნანობაშვილი

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

15/12/2016

MES 0 16 01499669

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ **თეიმურაზ მაჩაიძეს**

ბატონო **თეიმურაზ**,
მოგახსენებთ, რომ 2016 წლის 13 დეკემბრის N 1487340 სამსახურებრივ ბარათთან დაკავშირებით ჩატარდა ფასთა კვლევა, ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათისა და ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლების სახურავების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

**მოთხოვნა გადაეგზავნა შემდეგ კომპანიებს:**

შპს :ნ.მ. 2007"
ჯემალ ირემაძე
შპს მეფური
შპს კა-ემ-სი
შპს ჰორიზონტი
შპს TU-KA
შპს ნიუ ბილდინგი
შპს კომპანიონი
შპს მალუ 22
შპს ქართლი
შპს არადელი
შპს მ.გ.მ.
გროსო
ამაგი
შპს ლიბო
შპს მარდი
შპს გურჯი
დიასი 2007
შპს სვირი +
შპს არქიკულტურა
კაბადოკია
შპს ალგო 2000
შპს იო-სება

შპს დავითი
შპს „ტრანსმშენი"

დადგენილ ვადაში შემოთავაზება წარმოადგინა შპს „სვირი +"-მა, შპს „არქიკულტურა"-მ, შპს „ქართლ"-მა და შპს „მგმ"-მა.
შპს „სვირი +"- მა და შპს „არქიკულტურა"-მ ორივე სკოლის, ხოლო დარჩენილმა ორმა კომპანიამ მხოლოდ ზანათის საჯარო სკოლის სახურავის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა წარმოადგინა ელექტრონულად.
ჩამოთვლილი კომპანიები აღნიშნულ სამუშაოებს შეასრულებენ ქვემოთ მითითებულ ღირებულებაში:

| კომპანიისდასახელება | სკოლა | ღირებულება |
| --- | --- | --- |
| შპს "სვირი + " | ახალსოფლის საჯარო სკოლა | 9,001.59 |
| შპს "სვირი + " | ზანათის საჯარო სკოლა | 72,755.65 |
| შპს "არქიკულტურა" | ახალსოფლის საჯარო სკოლა | 8,477.46 |
| შპს "არქიკულტურა" | ზანათის საჯარო სკოლა | 76,945.81 |
| შპს "ქართლი" | ზანათის საჯარო სკოლა | 69,433.17 |
| შპს "მგმ" | ზანათის საჯარო სკოლა | 61,550.00 |

აღნიშნული კვლევიდან გამომდინარე ახალსოფლის სკოლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ყველაზე დაბალ ღირებულებაში შეასრულებს შპს „არქიკულტურა" - 8,477.46 ლარად, ხოლო ზანათის სკოლისას - შპს „მგმ" - 61,550.00 ლარად.

გაგზავნილი კორესპონდენცია და მიღებული ხარჯთაღრიცხვა იხილეთ დანართის სახით.
დანართი: 8 (რვა) ფაილი.

გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო /
ფინანსური რესურსების მართვისა და დაგეგმვის
სამსახური
სპეციალისტი
თათა კვანტალიანი

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

14/12/2016

MES 0 16 01491072

**საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ გიორგი შალუტაშვილს**

**სამსახურებრივი ბარათი**

**ბატონო გიორგი,**

მიმდინარე წლის 13 დეკემბრის N1487340 სამსახურებრივ ბარათზე დამატებით წარმოგიდგენთ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის და აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლების დაზიანებული სახურავების ფოტოებს და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილს სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაზე უარის თაობაზე.

ასევე, მოგახსენებთ, რომ სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის, სკოლების შენობების კიდევ უფრო მეტად დაზიანების თავიდან აცილების, ასევე, კონტიგენტის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სარეაბილიტაციო სამუშაოების ოპტიმალურ დროში შესასრულებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სარეაბილიტაციო სამუშაოები ზემოაღნიშნულ საჯარო სკოლებში განხორციელდეს გადაუდებლად.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს სათანადო ღონისძიებების გატარება.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო /
სამშენებლო-საპროექტო სამსახური
სამსახურის უფროსი
მერაბ ჭონიაშვილი

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
თბილისი 0160, მერაბ ალექსიძის ქ. №1, შენობა-ნაგებობა №1, სართული 2
ცხელი ხაზი, ტელ/ Tel.:(+995)220 0 220 2023;
www.esida.ge E-mail: info@esida.ge

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

13/12/2016

MES 3 16 01487340

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ გიორგი შალუტაშვილს

**სამსახურებრივი ბარათი**

**ბატონო გიორგი,**

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 21 ნოემბერს ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის და ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლების შენობების სახურავები. სააგენტოს თანამშრომლების მიერ ადგილზე შესწავლილ იქნა არსებული მდგომარეობა, შესრულდა აზომვითი სამუშაოები, მომზადდა დეფექტური აქტები და შესაბამისი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებაა:
1. აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლა - 77 582.64 ლარი (შესრულების ვადა 50 კალენდარული დღე)
2. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა - 9 059.59 ლარი (შესრულების ვადა 20 კალენდარული დღე)

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს სათანადო ღონისძიებების გატარება.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო /
სამშენებლო-საპროექტო სამსახური
სამსახურის უფროსი
მერაბ ჭონიაშვილი

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
თბილისი 0160, მერაბ ალექსიძის ქ. №1, შენობა-ნაგებობა №1, სართული 2
ცხელი ხაზი, ტელ/ Tel.:(+995)220 0 220 2023;
www.esida.ge E-mail: info@esida.ge

http://178.249.17.200/notary/CoverPage.do?variant=2&actId=

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
46586430213916

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

# N161011164

რეგისტრაციის თარიღი

**07.09.2016 წ**

ნოტარიუსი: ლიანა არქანია
მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. #85, პირველი სართული
ტელეფონი: (8215) 2 28 12 მობ: 591701135

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას თექვსმეტი წლის შვიდ სექტემბერს მე, ნოტარიუს ლიანა არქანიას, ჩემს სანოტა ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №85, პირველი სართუ მომმართა ბატონმა გიორგი ჯინჯოლავამ, რომელმაც განაცხადა, რომ ის არის შპს „მ.გმ დირექტორი, ამავე დროს საზოგადოების 66.66 %-იანი წილის მმართველი, რაც დასტურდ ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი №220018497, რეგისტრაციის თარიღი 28.06.19 **16.09.00**, განცხადების **№B15220659** და სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წეს დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებ დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად გიორგი ჯინჯოლავამ (დაბ.27.03.1989წ. პ.მ ბარათ **№11IA99325**, პირადი **№19001076044**, გაც.27.12.2011წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, რეგისტრირებ მისამართზე: ზუგდიდი, ეგრისის ქ. №16) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მ ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ მე, ლიანა არქანიამ, შევადგინე მინდობილობა და წავუკი მას, განვუმარტე მისი შინაარსი, მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, უფლებები და მოვალეობები, ასევე განვუმარტე, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუ ეს მინდობილობა. მან პირადად წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულ გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც მანჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებ მინდობილობას, რასაც ვადასტურებ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თექვსმეტი წლის შვიდ სექტემბერს, მე, შპს „მ.გმ.”-ს დირექტორი გიო ჯინჯოლავა (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგ „მიმნდობი”, წინამდებარე მინდობილობით : ვასილ მაქაცარიას (დაბ.28.021963წ. პმ №გ 0698285, პი №19001062289, გაც.02.06.2005წ. ზუგდიდის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახ მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: ზუგდიდი, წმ. ნინოს ქ. №40), ვანიჭებ შ უფლებამოსილებას:

ვასილ მაქაცარია უფლებამოსილია აწარმოოს შპს „მ.გმ.”-ს დირექტორის სახელით ყოველგ საქმიანობა, მათ შორის საქონლის შესყიდვა, ტრანსპორტირება და რეალიზაცია, როგ საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ, მიიღოს და მოახდინოს საზოგადოების სახელზე მოს ტვირთის ან ნებისმიერი საქონლის ჩაბარება, რისთვისაც ვანიჭებ უფლებამოსილებას იყოს სრულუფლებიანი და შეუზღუდავი წარმომადგენელი და დაიცვას ჩემი ინტერესები ფიზიკურ იურიდიულ პირებათან ურთიერთობაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეეს ეროვნულ სააგენტოში, ყველა ინსტანციის სასამართლოში, (მხარისათვის საპრო კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებით), კერძო არბიტრაჟში, მინდობილს აქვს ყველ უფლებამოსილება, რომელიც მხარეს (ან მესამე პირს) მინიჭებული აქვს საქართველოს სამოქალ საპროცესო კოდექსით, ასევე იყოს წარმომადგენელი საქართველოს ფინანსთა სამინის შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში საგადასახადო ანგარიშების წარდგენი ანგარიშსჭორების შედარებისას. ჩემი სახელით ჩააბაროს დეკლარაციები, ხელი მოაწეროს ნაცვლად საგადასახადო დავალებებს და წარადგინოს ისინი სათანადო ორგანიზაციებში. ჭინამდ მინდობილობაში ხსენებული ან არანახსენები ყველა ოფიციალური კერძო უწყების წინაშე გააკ წერილობითი და ზეპირსიტყვიერი განცხადებები, გამოიტანოს ამონაწერები და ასლები, გააკეთე შესწორებები, გადაიხადოს ყველა სახის გადასახადები, მოსაკრებელი და საგარანტიო თანხები, ა უკან გადახდილი გადასახდელი თანხებიდან დაბრუნებული ნაწილი იმ ორგანიზაც სალაროებიდან, რომლებშიც გადახდილი იყო ეს თანხები.

ვასილ მაქაცარია უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს პარტნიორთა საერთო კრებებშ დამფუძნებელთა კრებებში. გამოიყენოს ხმის მიცემის უფლება, მიიღოს გადაწყვეტილ დაამტკიცოს ან უარყოს მიღებული გადაწყვეტილებები, საჭიროების შემთხვევაში გააპროტ ისინი, აიღოს და ჩააბაროს საბუთები, მოაწეროს ხელი მათთან დაკავშირებულ ყველა განცხადებებს, ხელშეკრულებებს და ყველა სახის საბუთებს, გაადევნოს თვალი და შეასრულ საკითხთან დაკავშირებული ფორმალობები და სრული უფლებამოსილებოთ განახორცი ხსენებულ საკითხთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურები. აწარმოოს ყველა მიმოწერები. მონაწილეობა მიიღოს ტენდერებში.ამისათვის მოაწეროს ხელი საჭირო განცხადებებ მიმართვებს. გამოიყენოს საზოგადოების ბეჭედი, აწარმოოს მოლაპარაკებები, შეაგ დოკუმენტები, შეაგროვოს და მოაწეროს ხელი მათ, საჭიროების შემთხვევაში გააუქმოს ისინი, ხელი მოაწეროს შესწორებათა პროექტს და ხელშეკრულებებს, დაარეგისტრიროს ისინი სათ ოფიციალურ და კერძო უწყებებში, საზოგადოების წარმომადგენლის სახით დადოს ნებისმიერი გარიგებები. გააფორმოს ხელშეკრულებები, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დამკვეთებთან, სატენდერო ხელშეკრულებები, მოამზადოს სატენდერო დოკუმენტაციები და მოაწეროს ხელი მათ

„მინდობილი პირი” ასევე, უფლებამოსილია წარმოადგინოს ჩემი ინტერესები საქართ ნებისმიერ ბანკში ან/და მის ფილიალებში, აწარმოოს ორგანიზაციული, მათ შორის ნებისმიერი საბანკო და საფინანსო ოპერაციები, მათ შორის ინტერნეტ მომსახურეობა, წარადგინოს ჩემი სახ ანგარიშსწორება, განკარგოს საზოგადოების სახელზე გახსნილი, როგორც მიმდინარე, შემნახველი ანგარიშები, განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც დაკავშირებული

ამ ანგარიში და მასზე არსებული თანხების გამოყენებასთან, მათ შორის ანგარიშიდან გაიტანო ფულადი სახსრები, შეიტანოს, , გადარიცხოს, ჩარიცხოს, გამოიტანოს, გაიგოს ნაშთი, გააკეთო კონვერტაცია, შეუკვეთოს ჩეკი, მიიღოს ამონაწერი ბანკიდან. შეამოწმოს ბრუნვები ანგარიშებზე და საგადასახადო ინსპექციაში, მიიღოს ინფორმაცია ანგარიშზე არსებული თანხების ბრუნვი ნაშთების ოდენობის შესახებ გახსნას ახლი საბანკო ანგარიში ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში ასევე დახუროს საბანკო ანგარიშები. საჭიროების შემთხვევაში დაამზადოს პლასტიკურ ბართი/ბარათები. გაუთვალისწინებელ შემთხვევაში მიიღოს ბანკომატში დაკავებული ბარათი. მიიღო ამონაწერი ბანკიდან, შეამოწმოს ბრუნვები ანგარიშებზე, წაიღოს ამონაწერები, ხელი მოაწეროს ჩემ ნაცვლად ხელშეკრულებებს, შესაბამის დოკუმენტებზე ხელი მოაწეროს ჩემს ნაცვლად სათანად დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალებ შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთ ინახება ლიანა არქანიას სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური – 10.00 ლარი (თანახმად სანოტარო მოქმედება შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილ საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცე შესახებ, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის №507 დადგენილებისა, მუხლი 31.7) +2 ლარ (ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის მ.39/1) სულ 12.00 ლარი.

ხელმოწერა :

ნოტარიუსი :